

## მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ სტუდენტთა საყურადღებოდ

1. 2010-2011 სასწავლო წლის I სემესტრისათვის მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ სტუდენტთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვრება 2010 წლის 2 აგვისტოდან 10 აგვისტოს ჩათვლით.

2. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი სტუდენტი უნდა დარეგისტრირდეს აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე [nea.ge](http://nea.ge) როგორც აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმომსვლელი 2010 წლის 1 ივლისიდან 29 ივლისის ჩათვლით.

3. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველმა სტუდენტმა რეგისტრაციისათვის განსაზღვრულ ვადაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- განცხადება უნივერსიტეტის რექტორის სახელზე
- ატესტატის ასლი
- სერთიფიკატის ასლი
- სასწავლო ბარათის/ნიშნების ფურცელი/ქსეროასლი, დამოწმებული სასწავლებლის ბეჭდითა და ხელმოწერით
- იმ სტუდენტებმა ვისაც შეწყვეტილი აქვს სტუდენტის სტატუსი და სურს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვა უნდა წარმოადგინონ ბრძანების ასლი სტატუსის შეწყვეტის შესახებ და ყველა საბუთი ორ ცალად
- პირადობის მოწმობის ასლი
- მისამართი და ტელეფონის ნომერი

4. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველმა იმ სტუდენტებმა, რომელთაც არა აქვთ ჩაბარებული ერთიანი ეროვნული გამოცდები საბუთები უნდა წარმოადგინონ ორ ცალად.

საკონტაქტო ტელეფონები: 8231 40033; 8231 41293; 899 247240; 893 715301